ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 2 აგვისტო. № 1542

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდთროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ხონის დედათა მარიამის

სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი ეგზამენები ამ სასწავლებლის მოსწავლეთა იქნება 25, ხოლო მისაღები—27 და 28 აგვისტოს. თავისუფალი ადგილები საკმაოა როგორც მოსამზადებელ, ისე მაღალ კლასებში. თხოვნები მიიღება პირველ აგვისტოდან. (ნ. 5—5).

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა იწვევს მსურველთ

(ქალებსა და ვაჟებს)

სცენაზე
სამსახურისათვის

(მსახიობებათ)

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (ნ. 5—5)

დაარსდა ქალაქ ტფილისში

პირველი
ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—21)

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

31 ივლისი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში" გამოცხადებულია: გამოიცა 14 ახალი სერია სახელმწიფო 4% რენტისა.

30 ივლისს რეველში წავიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე.

31 ივლისს, ლოტრანგების პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი გერმანიის ქვრივი დედოფლის ვიქტორიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, ელლინთა დედოფალი და მისი შვილი ანდრია, ქვრივი—ჰერცოგინია მეკლენბურგ-შვერინისა, დიდი მთავრები და დიდი მთავრინები.

გროდნო. თიბვა და ჭვავის მკა გათავდა. მოსავალი შუათანაა.

ნოვგოროდი. სიცხე და გვალვაა. თივის ფასმა შესამჩნევად აიწია. ცუდი მოსავალია.

ყაზანი. ორი კვირა არა წვიმდა. სიცხე 40 გრადუსამდე ადის. ტყეებში და ჭალებში ცეცხლის გაჩენის გამოჯანლი დგას, რომელიც მზეს ჰფარავს. ტყეს ფოთოლი სცვივა.

კიევი. პოლიციამ შეიპყრო გლეხის დედაკაცი პრუსენკოვა, რომელსაც ხელობად ჰქონდა გადაქცეული, ახლად შობილების აყვანა და მათი აზრდა. უპოვიათ გამხდარი მკვდარი ყმაწვილი. გამოამჟღავნეს, რომ უჭმელობისაგანაა რამდენიმე ყმაწვილის სიკვდილი. გამოძიება სწარმოებს.

მოსკოვი. მოსკოვისა და კურსკის რკინის გზის საქონლის სადგურზე დაიწვა 4000 ფუთი ნავთი, ნავთის აუზი, ორთქლის მაშინა და ლოკომოტივების ექვსი სადგომი. ზარალი 30,000 მანეთზე მეტია. მიზეზი ის იყო, რომ გასკდა ნავთის საზომი მინა.

ლონდონი: კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან: «შემიძლია შევატყობინოთ ერთი კვირის ისეთი სრული სია, როგორიც აქამომდე არ ყოფილა. 23 ივლისს ჯარები იტყობინება, რომ 39 ბური მოკლულია, 20 დაჭრილია, 685 ტყვედ არის წაყვანილი და 85 თვისით დაგვნებდნენ. დავლათ აღებულია 244,000 პატრონა, 750 ფურგუნი, 5,580 ცხენი, 33.000 მსხვილფეხი და მრავალი სხვა საქონელი. მეტი ნაწილი დავლისა აღებულია ორანჟეს რესპუბლიკაში". შემდეგ კიტჩენერი იტყობინება, რომ ნაბუმსპრუიტის ახლო პიტერსბურგის გზაზე, 28 ივლისს, ბურებმა ერთი მატარებელი ლიანდაგიდან გადააგდეს; სუბუქად დაჭრილია ორი ინგლისელი, ერთი დატყვევებული ბური მოკლულია, დაჭრილია ორი გაქცეული ინგლისელი. ამ დროს მოვიდა ჯაშვნიანი მატარებელი, რის შემდეგაც იერიში მიიტანეს და მოჰკლეს 8 კაცი და დასჭრეს 2. პოლკოვნიკმა კეკევიჩმა მეგალის მთებში ტყვედ აიყვანა 40 კაცი, მათ შორის ვოლარანსი, პირველ სახალხო კრების ყოფილი პრეზიდენტი. ფრენჩის ჯარები კაპის ახალშენში თანდათან მიერეკებიან მტერს ჩრდილოეთისაკენ.

შანჰაი. გაჯუტანის პოლკი ჰონკონგისაკენ წავიდა ნაცვლად იმ პოლკისა, რომელიც ინდოეთში მიდის. ბრიტანიის გარნიზონი შანჰაიში ეხლა შესდგება მხოლოდ ბელუჯების ერთის პოლკისაგან.

სტოკჰოლმი. ცნობილი მკვლევარი პოლიუსის ქვეყნებისა პროფესორი ბარონი ნორდენშალდი დღეს გარდაიცვალა.

ფელეტონი

სამშობლოსათვის!

ამბავი ტრანსვაალის ცხოვრებიდან

(თარგმანი)

I

1898 წლის გიორგობისთვე იყო. დორფონტენში, რომელიც იოჰანესბურგის სააგარაკო ადგილია, იდგა ნამდვილი სამხრეთ-აფრიკული ზაფხული. ხეხილი მთლად ზურმუხტის ფერად იყო შემოსილი და თავის საუკუნოვ გრილი სიოთი ძალას უკარგავდნენ გახურებულ ზაფხულის ჰაერს. მაღალი ხეები, რომელნიც კოხტად იყვნენ ჩამწკრივებულნი ქუჩების ნაპირებში, ამშვენებდნენ და ჩრდილავდნენ ქუჩებს. პატარ-პატარა ბაღჩები თავის ფერადი ყვავილებით, კეთილსუნნელოვანებით აზავებდნენ ჰაერს. ღრმა სიჩუმე მეფობდა მთლად აგარაკში.

ის-ის იყო მოვიდა იოჰანესბურგიდან მგზავრთა მატარებელი. მატარებლიდან, სხვათა შორის, გადმოვიდა ერთი წარმოსადეგი ვაჟბატონი და ჩქარის ნაბიჯით სადღაც გაეშურა. იმისი მაღალი, ახოვანი ტანადობა და დიდი წვერი მჭევრმეტყველად ამტკიცებდნენ, რომ უცნობი უნდა ყოფილიყო ბური. ის ძალიან კოხტად იყო მორთულ-მოკაზმული, მხოლოდ მარცხენა მკლავი კი უგრძნობლად ჰქონდა ჩამოკიდებული კისერზე. ერთი მისი შეხედულება ყველას ადვილად მიახვედრებდა, რომ იგი ვინმე წარჩინებული პირი უნდა ბრძანებულიყო. ორმა მიმავალმა ინგლისელმა მდაბლად თავი დაუკრეს და გაიარეს.

— ვინ არის, ქუდი რომ მომახდევინე? —ჰკითხა ერთმა ინგლისელმა თავის ამხანაგს, როცა ბური კარგა გაშორდა იმათ.

— ჰენდრიკ დომერსი, დოქტორი და საფინანსო კომიტეტის მდივანი პრეტორიაში, წარჩინებული პირია. მაგან მიიღო განათლება გერმანიაში; ომშიაც არის ნამყოფი და მარცხენა ხელი გაფუჭებული აქვს; ხომ შენიშნე, როგორ მჩვარივით ჰქონდა ჩამოკანტურებული მკლავი? ახი კია: ეგრე უნდათ მაგათთანა ურჩებს.

ამ დროს დომერსი უკვე ერთ პატარა სახლთან მივიდა, რომელშიაც სცხოვრობდა მისიონერი ახტერმანი. დომერსმა ზარი ჩამორეკა; ზარის წკარუნზე გამოვიდა მოახლე—კაფრის გოგო. დომერსმა უთხრა გოგოს, რომ მას სურს ქალბატონ ახტერმანის ნახვა ფრიად საჭირო საქმისათვის და სთხოვა საჩქაროდ მოეხსენებინა.

გოგომ შეიყვანა სტუმარი სასტუმრო ოთახში და თითონ გავიდა. წუთის შემდეგ შემობრძანდა ქ-ნი ახტერმანისა.

მისსიონერის მეუღლე იქმნებოდა თითქმის 40 წლისა, მაგრამ იმისი ცოცხალი სახე, მშვიდი გამომეტყველება, ჭკვიანი და ენერგიით აღსავსე თვალები, და ამასთანავე სრული ჯანის სისაღე ჰფარავდნენ მის წლოვანებას და 40 წლის ფოფოდია 17 წლის ქალის შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე. ის იყო ჩაცმული შავ ტანისამოსში; თმა კოხტადა ჰქონდა თავზე გადატკეპნილი.

— ოჰ, შენა, ჰენდრიკ?!—გაკვირვებით წამოიძახა ქ. ახტერმანისამ.—შენ როგორღაც მოუხშირე ჩემთან სიარულს,—ღიმილით დაუმატა იმან. მე მგონია, რაც შენ ჩემი სტუმარი ქალი, მშვენიერი ანნა ტილე გაიცანი, მას აქეთ რაღაცა საიდუმლო ძალა გიზიდავს აკეთკენ.

დომერსმა ძალ-დატანებით გაიცინა და ჩქაროდ წარმოსთქვა:

— შეიძლება, შეიძლება, საყვარელო დობილო, მაგრამ ეხლა ხუმრობის დრო არ არის. მე მინდოდა მომელაპარაკნა ერთს ფრიად საჭირო საქმეზე, რომელიც სწორედ ანნა ტილეს შეეხება.

— ჰოო, ნახე? მაშ მე მართალი ვყოფილვარ! რა, მაშუალობას ხომ არა მთხოვ? მე დიდის სიამოვნებით... მშვენიერი გოგონაა, ძალიან შემიყვარდა; მერე საწყალი ობოლია; ერთი ძმის მეტი არავინა ჰყავს. ძმა რომ სამშობლოდან აქეთ წამოსულიყო, ეგეც თან წამოჰყოლოდა...

—ჰო, სწორედ მაგ ძმაზე არის საქმე;—გააწყვეტინა ჰენდრიკმა.

— როგორ? ტილეზედ? შენ იმასთან რა საქმე გაქვს? დაიკარგოს იქით. უჰ, ღმერთო, რაც მე ის მეჯავრება! როგორც ვატყობ, არც და უნდა იყოს იმისი მადლიერი. მგონი მაგას რაღაც უსიამოვნება უნდა მოსვლოდეს ძმასთან და იმიტომაც გაჰშორებია; თუმცა კი ანნა იმას იმიზეზებს, რომ დროფონტენის წყნარი ცხოვრება და საუცხოვო ბუნება ჩემს ნერვებს ამშვიდებსო და იმიტომ გადმოვსახლდი აქაო, მაგრამ...

— მეც ეგრე მგონია. ანნას სცოდნია თავის ძმის დაუდეგარი ხასიათი და ამიტომაც მოჰშორებია. ეხლა პრეტორიიდან ბრძანებაა, რომ ჩარლს ტილე დაუყოვნებლივ დატყვევებულ იქმნას; იქნება აქამდის შეიპყრეს კიდეც.

— როგორ? რისთვის?

— ტილეს და რამდენიმე ინგლისელს აგერ რამდენიმე თვეა, რაც დინამიტები შემოაქვთ თურმე ჩუმათ და ვაჭრობენ. რასაკვირველია, ეს კანონს ეწინააღმდეგება და სასტიკათ სდევნის ამ გვარ საქმეებს...

— უი, ღმერთო ჩემო! საწყალმა გოგომ ეგ რომ გაიგოს, ხომ სიდამბლე მოუკიდა!

— მე ანნასათვის ნათქვამი მაქვს,—გამოტყდა დომერსი.—როცა აქ უკანასკნელად ვიყავი, მაშინ სიტყვა გადავუკარი, რომ შენი ძმა უკუღმართ გზას adgia—მეთქი. მე მგონია, რომ რაიმე გავლენას იქონიებს თავის ძმაზედა—მეთქი, მაგრამ არა... ეხლა კი საქმე გათავებულია. შენა გთხოვ გადასცე ანნას, რომ თუ იმას რაიმე დახმარება ესაჭიროებოდეს, მე ყოველთვის შეძლებისა დაგვარად მზათა ვარ.

ფარზუნდი. დღეს ღამით გადაიწვა ოთხი მეხუთედი ქალაქისა; ცეცხლმა იმსხვერპლა სხვათა შორის ეკლესია, ფოსტა ტელეგრაფის კანტორა, ქალაქის ბანკი და რამდენიმე სკოლა. 1200 თუ 1300 კაცი უსახლკაროდ დარჩა.

ფრანკფურტი-მაინზე. ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, ამერიკის რწმუნებულის დეპეშით ზავის ოქმი უკვე ხელ-მოწერილია. $5^0/_0$-იანი ბაჟი ძალაში შევა ოქტომბრის ნახევრიდან.

ვილდპარკი. დილით მოვიდა კრონბერგიდან საგანგებო მატარებელი დედოფალ ვიქტორიას გვამით. ვაგზალზე შესახვედრათ მოვიდნენ იმპერატორი, ინგლისის მეფე და გერმანიისა და ინგლისის დედოფლები. უნტერ ოფიცრებს მიჰქონდათ კუბო სამგლოვიარო ეტლთან. პროცესსიამ გაიარა პარკი და გასწია ფრიდრიხის ეკკლესიის მავზოლისაკენ. გზაზე იდგნენ ჯარები. გენერლებს მიჰქონდათ განსვენებულის გვირგვინი და ორდენები. სამგლოვიარო ეტლს მიზდევდნენ სასახლის პირველი კაცები, იმპერატორი და ინგლისის მეფე, ტახტის მემკვიდრე და სხვა უავგუსტოესი პირები, დიპლომატიური კორპუსი, იმპერიის კანცლერი, მინისტრები, გენერალიტეტი, პალატის პრეზიდენტები და სხვები. გერმანიისა და ინგლისის დედოფლები და პრინცესსები მოვიდნენ მავზოლისთან ეტლებით და შეხვდნენ პროცესსიას ეკკლესიასთან. როცა კუბო მოჰქონდათ, ეკკლესიაში გალობა გაისმა. გერმანისა და ინგლისის მეფე-დედოფალნი, ტახტის მემკვიდრე, პრინცები და პრინცესები შეჰყვნენ კუბოს მავზოლეიში. პასტორმა პრესიუსმა ლოცვა წაიკითხა. საეკკლესიო ხოროს გალობის შემდეგ უავგუსტოესმა პირებმა დასტოვეს მავზოლეი და წავიდნენ ახალ სასახლეში.

ბერლინი. „ნორდ დაიჩე ცეიტუნგ“-ის სიტყვით, 30 ივლისს საიმპერიო კანცლერს ჰქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება რუსეთის ელჩთან.

ბუდაპეშტი. რუსეთის სამხედრო ჰაეროსტატი, რომელიც დაეშო ცეიპლინსკის კომიტატში, ისევ აფრინდა ვარშავაში. გლეხებმა დახმარება აღმოუჩინეს ოფიცრებს, რომელთაც კარგათ გაუმასპინძლდა მემამულე ტოტი.

ლონდონი. პალატა. კრანბორნი ამბობს, რომ პროტოკოლის ფორმაზე არ დაბოლოვებულა ლაპარაკი პეკინის კომისიაში. იმედი აქვთ, კითხვა მალე გადაწყდება.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. ერთს ქალ-მონაზონთა კონგრეგაციის წინამძღვარს ოთხი გამოჩენილი იურისტისათვის მიუმართავს და უკითხავს: საშიში ხომ არაა, ახალი კანონის თანახმად მთავრობას კანონიერი ნებართვა ვსთხოვოთო. იურისტების პასუხი გაზ. «გოლუა»-შია დაბეჭდილი:

«თავდაპირველად იურისტები აცხადებენ, ვიდრე მთავრობა სახელმწიფო საბჭოსაგან დამტკიცებულ წესდებას არ გამოსცემს, ძნელია გადაჭრით ითქვას რამე მაგ საგანზეო. ამიტომ იურისტები მხოლოდ სამინისტროსაგან 1 ივლისს გამოცემულ ცირკულიარის თაობაზედ ლაპარაკობენ. ეს ცირკულიარი კონგრეგაციებს უფრო სასტიკ პირობებს უდებს, ვიდრე სხვა ასოციაციებსაო. ამ ცირკულიარის ძალით, კონგრეგაციები მოვალენი არიან თავიანთ წევრების და უძრავი ქონების სრული სია წარუდგინონ მთავრობას. ამ სიების წარდგენა, იურისტების აზრით, მეტად საშიშია, რადგანაც მთავრობას შეუძლიან ამ სიებით ისარგებლოს და მომავალში კონგრეგაციას მამული ჩამოართოს. შემდეგ იურისტები დაწვრილებით ჰხსნიან, ამ ცირკულიარის ძალით რა გაჭირებასა და შიშში ვარდება ყოველი კონგრეგაცია და მისი ყოველი ცალკე წევრი. კანონიერი ნებართვაც რომ აიღონ,—შენიშნავენ იურისტები,—კონგრეგაცია მაინც უნდა ყოველთვის შიშ ქვეშ იყოს, რადგანაც მისი აკრძალვა მინისტრის უბრალო განკარგულებიდან შეუძლიან». დასასრულ იურისტები ამბობენ: «მთავრობა ავალებს კონგრეგაციებს, ნებართვა აიღეთო, წევრების სიები, წესდება და ქონების სიაც წარმოადგინეთო. შემდეგ როცა კონგრეგაცია თავის ხელით თავისავე გამამტყუნებელს საბუთებს ხელთ მისცემს, მთავრობას უფლება აქვს ნებართვა არ მისცეს და იმავე საბლით დაახრჩოს, რა საბუთსაც კონგრეგაციები თავიანთ ხელით მიუტანენ».

✿ იმ კვირა დღეს შალონში გარდაცვალებული რადიკალი—დეპუტატის ბუასეს მაგიერ აარჩიეს. მელინისტებს დიდი იმედი ჰქონდათ, ამრჩევლები იმათ კანდიდატს აარჩევდნენ, იმედი ჰქონდათ აგრეთვე «ზარბაზნების მეფის» შნეიდერის გავლენისაც, მაგრამ ეს იმედები გაუცრუვდათ; იმათმა კანდიდატმა, დიდმა მრეწველმა პინეტიმ სულ 7555 ხმა მიიღო, ქალაქ მონსო ლე მინის ქალაქის თავმა, სოციალისტმა ბუვერიმ კი 8882 ხმა მიიღო. მეორედ უნდა მოხდეს კენჭის ყრა და ეჭვი არაა, მეორე არჩევნის დროს ბუვერის ის 3330 კაცი მიემხრობა, ვინც კვირის არჩევანში რადიკალ რიშარს მისცა კენჭი.

✿ პარიზში საფრანგეთის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს ვიქტორ კონსიდერანს ძეგლი დაუდგეს. ძეგლის კურთხევას სამხედრო მინისტრი ანდრე დაესწრო. ანდრემ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, შემდეგი ილაპარაკა: «მთავრობა პროგრესსიული იდეებითაა გამსჭვალული და თავის სოციალური რეფორმების შესრულება თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია. ეს საქმეები მეცნიერებისაგან დადგენილ პრინციპების თანახმად უნდა ასრულდეს. მთავრობა აგრეთვე ყველა რწმენასა და აზრს პატივს სცემს და ამიტომაც მომანდეს დავესწრო იმ კაცის ძეგლის კურთხევას, ვინც ყოველთვის სხვისი აზრისა და რწმენის პატივისცემას ჰქადაგებდა».

ინგლისი. როცა ლორდთა პალატაში მეფის ფიცის შეცვლის თაობაზე შედგენილ კანონ პროექტს მესამედ ჰკითხულობდნენ, პირველმა მინისტრმა მოულოდნელად გამოაცხადა, ამ კანონ-პროექტს დეპუტატთა პალატაში აღარ გადავიტანთო. საქმე ის არის, რომ პირველად კათოლიკეები დასთანხმდნენ, ეხლანდელ ფიცში მხოლოდ მათთვის საწყენი სიტყვები ამოეშალათ, ეხლა კი თხოულობენ, ის ადგილიც უნდა ამოიშალოს, სადაც ნათქვამია, ინგლისის მეფე უსათუოდ პროტესტანტის სარწმუნოებისა უნდა იყოსო. თუ ასე არ მოხდა, ისევ სჯობია ფიცი კათოლიკეებისათვის საწყენი დარჩესო. ამას კი მთავრობა არას დროს არ დასთანხმდება. თუ მთავრობა თავის კანონ-პროექტზე ნამდვილად ხელს აიღებს, ეს უსათუოდ ირლანდიელებზე გავლენას იქონიებს: როცა მეფის ტიტულის შეცვლის თაობაზე კანონ-პროექტის განხილვას შეუდგებიან, ირლანდიელები უსათუოდ წინააღმდეგობას გასწევენ. მთავრობას კი რომ კათოლიკეების სურვილის თანახმად მეფის ფიცი შეეცვალა, ირლანდიელები მეფის ამ ახალი ტიტულის წინააღმდეგ ხმასაც არ ამოიღებდნენ. «სტანდარდ»-ის სიტყვით, ლიბერალი-დეპუტატები დარწმუნებულები არიან, ირლანდიელებს განზრახვა აქვთ, პარლამენტის დახურვის დროს შფოთიანი მანიფესტაცია მოახდინონ.

✿ ლორდთა პალატამ, ინგლისის ამ უმაღლესმა სასამართლომ, იმ დღეს ერთი კერძო საქმის თაობაზე კიდევ ახალი განაჩენი დაადგინა მუშების ტრედ-უნიონების (საზოგადოებათა) წინააღმდეგ. ქალ. ბელფასტში ყასბების საზოგადოებამ გადასწყვიტა ვინმე ლიტემის დუქანი შეეკრათ, აღარც მუშტარი გავატაროთ, აღარც მუშები მივაკაროთ ახლოო. ლიტემმა ამაზე საჩივარი შეიტანა. მომრიგებულმა მოსამართლემ დაადგინა: ბელფასტის ყასბების საზოგადოებამ 250 გ. სტ. ჯარიმა უნდა გადაიხადოს ლიტემის სასარგებლოდაო. საზოგადოებამ აპელაცია გადაიტანა ოლქის სასამართლოში, მაგრამ ამ სასამართლომაც საზოგადოება გაამტყუნა. თავის აპელაცია საზოგადოებამ იმ განთქმულ განაჩენით დაასაბუთა, რა განაჩენიც აღრე ალენის და ფლუდის საქმეზე იყო დადგენილი: ლორდთა პალატამ დაადგინა: ბოროტი განზრახვა არავის აძლევს საბუთს საჩივარი შეიტანოს, თუ კი ბოროტ-განზრახველს კანონიერი საქმის შესრულება ეწადაო, რადგანაც მარტო ბოროტ-განზრახვის საბუთით დავის შეტანა შეუძლებელიაო. ეხლა კი ლორდ-კანცლერმა გამოაცხადა, ალენის საქმეზე დადგენილი განაჩენი ახლანდელ საქმეს არ უდგებაო, რადგანაც მოწმების ჩვენებით დამტკიცდა, ყასბების საზოგადოებას «შეთქმულობა» ჰქონიათ გამართული და აზრად ბოროტების ჩადენა ჰქონდათო. ამიტომ ლორდთა პალატამაც ყასბების საზოგადოება გაამტყუნა. «დეილი ნიუს»-ი ამბობს ამის თაობაზე, ტრედ-უნიონების მთელი მოქმედება ყოველთვის ამნაირ «შეთქმულობას» ჰგავსო, მაგრამ ეს «შეთქმულობა» იმ საქმის შესასრულებლადაა გამართული, რა საქმეც ტრედ-უნიონების თაობაზე დაწერილია კანონით. გაზეთი ურჩევს ტრედ-უნიონებს, ეცადენით, რაც შეიძლება მალე, ისეთი კანონი გამოაცემინოთ, რომ თქვენი მდგომარეობა არ შეირყესო, თორემ ამისთანა განაჩენები, როგორიც ეხლანდელი განაჩენია და აგრეთვე ამას წინად რკინის გზის საქმეზე დადგენილი განაჩენი იყო, სულ ბოლოს მოუღებენ ტრედ-უნიონების არსებობასაო.

✿ ლონდონიდან იწერებიან: გუშინ ჰულსში, ბატხსელში მუშებმა დიდი უწესოება მოახდინეს. ორის დღის წინადვე ჯარები გაგზავნეს იქა. პარლამენტში ლიბერალმა-დეპუტატებმა პროტესტი გამოუცხადეს მთავრობას, ჯარების გაგზავნა როგორ გაჰბედეო. დიდი შფოთი ასტყდა ამის თაობაზე. ოპოზიციამ მოითხოვა, ჯარები უკან დააბრუნეთო, ამ წინადადებას კენჭი უყარეს და მთავრობამ მხოლოდ 27 ხმის უმეტესობით გაიმარჯვა.

სამხრეთ-აფრიკა. «იგივ მხნე, იგივ მედგარი, მებრძოლი შავის ბედისა!» ეს ლექსი სწორედ კრიუგერზეა ნათქვამი. ვინც რა უნდა თქვას და ის კი ერთსა და იმავეს იმეორებს: ვიდრე ორსავე რესპუბლიკას დამოუკიდებლობას არ დაუბრუნებენ, ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთო. მხცოვან პრეზიდენტის მედგარს პასუხს, ბურების სარდლებთან მიწერილს, დიდი შთაბეჭდილება მოუხდე-

---

— განა შენ კი არა ნახავ?

— მე არ მინდოდა ჯერ-ჯერობით მისი ნახვა. მე ხომ იმ მმართველობის წევრი ვარ, რომელიც მაგის ძმას სდევნის!.. მაგრამ იცი რა, ჩემო დობილო! აირას გეხვეწები: გაუფრთხილდი საცოდავ გოგოს ისე, როგორც შენს ნამდვილ შვილს, როგორც შენს ორთავ თვალებს. დეე შენთან იყოს; მე მეცოდება, ობოლია; ნაცნობებიც ცოტა ჰყავს; მგონი შენს მეტი არც კი არავინა ჰყავს გულ-შემატკივარი.

— დარდი ნუ გაქვს, ჩემო ჰენდრიკ! მე ანნასთვის არაფერს არ დავზოგავ. ახლა, შენ როგორ ჰფიქრობ, ვუთხრა რამე იმას ამ ამბისა?

— უეჭველად, ყველაფერი. დეე იმან შეიტყოს თავის უბედურება შენგან და არა გარეშე პირებისაგან, რომელთაც სხვის ოხვრა სიცილადაც არა ჰყოფნით, არა იმ უსულო და უგულო გაზეთებისაგან, რომელნიც გულ-გრილად ბეჭდავენ ყოველნაირ უბედურებას, და რომელთაც არ ენაღვლებათ ჩაიხედონ სხვის დაკოდილ გულში. შენ უთხარი ყველაფერი და, როცა შეეჩვევა თავის ულმობელ ხვედრს, მაშინ მეც მოვალ და ვნახავ. ეხლა კი ნახვამდის. მე უნდა პრეტორიაში დავბრუნდე. უკანასკნელად გევედრები: იზრუნე ანნასათვის; მე ჩემის მხრით ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ იმას რაშიმე დავეხმარო და მძიმე ტვირთი შევუმსუბუქო. ესეც გადაეცი ანნას, არ დაგავიწყდეს.

დომმერსმა გაუწოდა ხელი დობილს და საჩქაროდ გავიდა.

II

პრეტორია, როგორც მოგეხსენებათ, ტრანსვაალის დედა ქალაქია. იგი გაშენებულია მშვენიერ ხეობაში, რომელიც მდიდრად არის დაბურული საუცხოვო მცენარეულობით. პრეტორია ნახევარზე წარმოადგენს ქალაქს და ნახევარზე სოფელს. ცხოვრება პრეტორიაში ერთობ წყნარად მიმდინარეობს. აქ ვერავინ ნახავს ისეთს მოუსვენრობას, შფოთსა და ალიაქოთს, როგორსაც ყოველი იოჰანესბურგში ჰგრძნობს. ხშირად მთელ ქუჩებს გაივლის ადამიანი და ერთსაც ვერავის ვერ შეეყრება; მხოლოდ, ეგრედ წოდებულ, „მთავარ ქუჩაზე“ და „სავაჭრო მოედანზე“ თუ ნახავს ცოტაოდენ ხალხს. ქუჩები, მეტ ნაწილად, დაუფენელია. პატარა და დაბალი სახლების ბანები თეთრი თუნუქით არიან გადაკრულნი. ყოველ სახლს გვერდით ბაღჩა აკრავს. „მთავარ ქუჩაზე“ დაბალ შენობათა შორის აქა-იქ ახალ არქიტექტურის გემოვნებაზე ნაშენი კოხტა სახლებიც გამოიცქირებიან. ზევიდან რომ დაჰხედოთ, პრეტორია მშვენიერ სურათს წარმოადგენს: იგი სავსებით ჩაფლულია მაღალ, მწვანედ მობიბინე ბაღებში და უდაბნოდან შემოსულ კაცს სწორედ სამოთხედ მოეჩვენება.

იოჰანესბურგის ხაზის მატარებელი გაჩერდა პრეტორიის პატარა სადგურის წინ. სხვათა შორის, მატარებლიდან გადმოხტა ორი შავებში ჩაცმული მანდილოსანი. ესენი იყვნენ: ქ-ნი ახტერმანისა და ანნა ტილე.

— ყოჩაღად იყავ!—ამხნევებდა ანნას ქ. ანტერმანისა.—ყოჩაღათ იყავ, ჩემო დაო, სასოებას ნუ დაჰკარგავ. საქმე კარგად იქნება! ჩვენი ძმობილი, ჰენდრიკ, ტყუილად არ დაგვიბარებდა.

— როგორ უნდა ვეჩვენო მე იმას!—თითქმის სტიროდა ანნა.—ავაზაკის დაი! არა, არა, ვერ დავენახვები.

ქ. ახტერმანისამ თანაგრძნობით შეჰხედა ახალგაზდა გოგოს.

— ტყუილად იწუხებ თავს. აბა შენ რა შუაში ხარ შენი ძმის დანაშაულობაში?—

ამასობაში ქალები მიუახლოვდნენ პარლამენტს და ორი წუთის შემდეგ უკვე დომერსის სამუშაო კაბინეტში ისხდნენ.

ანნა მთლად კანკალებდა, როცა ოთახში შედიოდა. იმას ძალიან უყვარდა დომერსი, უყვარდა პირველის უმანკო სიყვარულით, ოცნებობდა იმ ბედნიერებაზე, რომ თითონაც ყოფილიყო ამ კაცისაგან შეყვარებული, და რომ ეს მათი საერთო სიყვარული შეერთებულიყო სამუდამო კავშირით... მაგრამ რა!.. საიდან?.. ის არის ავაზაკის და, დომერსი კი წარჩინებული პირი.

მაგრამ, როცა ჰენრიკი მიესალმა ანნას და ნაზად ხელი ხელზე მოუჭირა, როცა ამ უკანასკნელმა ამოიკითხა იმის თვალებში გულწრფელი თანაგრძნობა და სიყვარული, მაშინ რაღაცა თბილმა სიომ წამოჰბერა ანნას გულს, კვალად სასოების სხივმა ჩააშუქა მის გულის სიღრმეში და გადუყარა ის ბნელ-უკუნეთი, რომლითაც მოცული იყო მთელი მისი არსება ამ უკანასკნელ ჟამს.

— მე თქვენ გთხოვეთ მობრძანებულიყავით,—დაიწყო დომერსმა,—რადგანაც მინდოდა თქვენთვის მომეხსენებინა შემდეგი: თქვენ უნდა სთხოვოთ თვით პრეზიდენტ კრიუგერს თქვენი ძმის შეწყალება. მე იმედი მაქვს, რომ კრიუგერი შეიწყნარებს თქვენს თხოვნას და გაანთავისუფლებს თქვენს ძმას და თუ ასე არა, თავდებით მაინც გამოაშვებინებს. მაშინ თქვენ ძმას შეუძლიან გაიპიროს აქედან თუნდა ამერიკაშიაც და ახლა იქა სინჯოს თავისი ბედი. თუმცა ამ გაქცევის გამო დაჰკარგავს ცოტაოდენ თავის ქონების ნაწილს, რადგანაც მმართველობა გირაოს მოითხოვს, მაგრამ არა უშავს რა...

— როგორი გულკეთილი ბრძანდებით!—წამოიძახა ანნამ და თავდავიწყებით ჰენდრიკს ხელში მივარდა.—ეხლა რა ვქნა? თხოვნა მივართვა პრეზიდენტს?

— თხოვნა არ არის საჭირო: ჩვენში ამისთანა საქმეები პირად-მოხსენებით ირჩევა. გამომყევით; პრეზიდენტი აქ არის სხდომაზე. ვგონებ, მალე დაიშლებიან.

დომერსმა შეიყვანა ქალები დარბაზში, სადაც იყო ტრანსვაალის პარლამენტის სხდომა. ამ დიდი დარბაზის ერთ მხარეს ესტრადა იყო გამართული და იმაზე სავარ-

ნია ინგლისის საზოგადოებაზე. ლიბერალური «ვესტმინსტერ გაზეთა»-ი ამბობს: „კრიუგერის დეპეშიდან სჩანს, რომ ბურები სულაც არ აპირებენ დამორჩილებას. კრიუგერი სწერს: ვიდრე დამოუკიდებლობას არ დაგვიბრუნებენ, თუნდაც სულ ერთიანად გავსწყდეთ, მაინც უნდა ვიბრძოლოთ. შემდეგ გაზეთი ჩემბერლენის სიტყვას იხსენიებს,—ამას წინად რომ პარლამენტში წარმოსთქვა,—და ამბობს, ის კილო, რა კილოთიც ჩემბერლენმა ილაპარაკა, სრულიად არ შეჰშვენის დიდი ბრიტანიის მინისტრსა. ბურებს რომ ყაჩაღებისა და ავაზაკების სახელი დავარქვათ, ამით მხოლოდ საქმეს წავახდენთ. ბურებს კარგად ესმით, რომ ჩვენ მეტსა ვთხოულობთ, სანამ ჩვენი გამარჯვების დაკვალად გვეკუთვნის. რადა ბევრი გავაგრძელოთ, ჩემბერლენის ბრაზიანი კილო კიდევ მეტს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი საქმე სამხრეთ აფრიკაში უფრო ცუდად მიდის, სანამ ჩვენი მთავრობის ცნობებიდან სჩანს“.

✿ ინგლისური გაზეთების სიტყვით, დეპუტატთა პალატაში ორშაბათს ხმა გავრცელებულა, ვითომ სამხედრო სამინისტროს კიტჩენერისაგან დეპეშა მიეღოს, რომ ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტი შტეინი თანახმაა მორჩილება გამოაცხადოს, თუ კრიუგერთან ევროპაში წასვლის ნებას მისცემენო.

✿ „დეილი მაილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: კრიუგერი აპირებს ინგლისის მთავრობას პროტესტი გამოუცხადოს იმის წინააღმდეგ, რომ ჩემბერლენმა ბურები ყაჩაღებსა და ავაზაკებს შეადარაო. თავის პროტესტში კრიუგერი აღნიშნავს, რომ ინგლისელებმა ბევრი სხვა უკანონობაც ჩაიდინეს სამხრეთ-აფრიკაშიო.

✿ «ბერლინერ ტაგებლატ»-ი აცხადებს: პარიზიდან იუწყებიან, ინგლისის მთავრობა თავისი ელჩების შუამავლობით ეცადა სხვა სახელმწიფოების მთავრობობები დაერწმუნებინა, რომ ბურებს მეომარი სახელმწიფოს უფლება არ უნდა ჰქონდეთო, და ისე უნდა მოვექცეთ, როგორც უბრალო ყაჩაღებსაო. ამის საბუთად ინგლისელებს ის მოჰყავნდათ, რომ ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის დედა-ქალაქები დიდი ხანია ჩვენ გვიპყრავსო. ყველა სახელმწიფოებს ერთ-ხმად უარი გამოუცხადებიათ ინგლისისათვის.

ბოლგარია. მაკედონიელების გაზეთ «რეფორმი»-ში საყურადღებო მოწინავე წერილი დაიბეჭდა. წერილი მაკედონელების უმთავრეს კომიტეტის თავმჯდომარეს სტოიან მიხაილოვსკის ეკუთვნის. ავტორი ოსმალეთის ხონთქარს ასე იხსენიებს, როგორც «ბოლგარელი პატრიოტების შეუბრალებელ მკვლელსა». მიხაილოვსკი აშკარად ურჩევს მაკედონელებს, რევოლიუცია მოახდინეთო. ავტორი ამბობს: «თქვენ გინდათ თავისუფლება იშოვოთ, ოსმალეთში კი თავისუფლების შოვნა შეუძლებელია; სხვა გზა არ არის, რევოლიუცია უნდა მოახდინოთ». დასასრულ ავტორი ურჩევს ბოლგარებს, მაკედონიაში და ადრიანოპოლის ვილაიეტში ოსმალეთის ფაშები (გენერლები) დახოცეთო.

ჩინეთი. რეიტერის სააგენტოს სწერენ ტიანძინიდან: შანტუნის პროვინციის გუბერნატორი იუნ-შიკაი თოფ-ზარბაზნისა და უბოლო წამლის დასამზადებლად არსენალებს აშენებსო. პატინფუშიაც იარაღის ქარხანას აშენებენო. ვაჭრობამ ცოტა მოიმატა, მაგრამ ჩინელები მაინც მტრულად უყურებენ უცხოელებსაო.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 1 აგვისტოს, მისმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ **საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ**, გორის ეპისკოპოს ყოვლად სამღვდელო კირიონთან ერთად, ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით, ალექსანდრეს ბაღში წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ეკკლესიაში გარდაიხადა წირვა; წირვის შემდეგ სამღვდელოება გაემგზავრა მადათოვის კუნძულზე, სადაც შესრულებულ იქმნა წესი წყლის კურთხევისა.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდა ტირაჟი ქალაქის მესამე **საობლიგაციო სესხისა** 8,200 მან. გაბათილებულ იქმნა 1000 მან. ღირებულობის აქციები.

✦ პარასკევს, 3 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექნება კავკასიის **სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად; სხვათა შორის, საბჭო განიხილავს საზოგადოების მდივნის ბ-ნ ე. ო. იოსელიანის მოხსენებას საზოგადოების სადგომის შეკეთების შესახებ. როგორც გამოუანგარიშებიათ, საზოგადოებას სადგომის შესაკეთებლად დასჭირდება 600 მ.

✦ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისარმა მისწერა გუშინ ტფილისის ცხენის რკინის გზის სამმართველოს, გაუგზავნოს გამოფენის გამგე კომიტეტს რამდენიმე **უფასო** ბილეთი, რადგანაც გამოფენის ბიურო ქალაქს გარედ არის, ხოლო ხშირად საქმეები აქვთ ქალაქის შუაგულ სხვა და სხვა დაწესებულებებში და და ბიუროს მსახურთათვის ძალიან ბევრი ხარჯია საჭირო ცხენის რკინის გზით სარგებლობისათვისო.

✦ **მიწად-მოქმედების სამინისტროს** სამეცნიერო კომიტეტში წარუდგენია მოხსენება ამ კომიტეტის წევრს ი. ა. პორჩინსკის იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოღებულ იქმნეს წესად აიკრძალოს იაპონიიდან მცენარეების შემოტანა რუსეთში, რადგანაც შესაძლებელია, ამ მცენარეთ შემოჰყვეს ერთგვარი სენი ესრედ წოდებული „კალიფორნიის მატლი“, რომელიც დიდად აზარალებს მცენარეულობასაო; კომიტეტს პრინციპიალურად მიუღია ეს წინადადება, მხოლოდ, ვიდრე ამ საკითხს საბოლოვოდ გადასწყვეტდეს, მას მოუთხოვნია ცნობები სხვა და სხვა სააგრონომიო დაწესებულებათა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათაგან; სხვათა შორის, სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა ასეთივე წინადადებით მიმართა ტფილისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.

✦ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში მოსწავლეთა **ხელ-მეორე** ეგზამენები დაიწყება 22 აგვისტოდან და გაგრძელდება 27 მდე; ხოლო ახლად მისაღები გამოცდა მოხდება 27 და 28 აგვისტოს; მესამე დედათა გიმნაზიაში ხელ-მეორედ გამოცდა 23—25 აგვისტომდე გაგრძელდება; ხოლო ახლად მისაღებ ბავშვებისათვის ეგზამენები დანიშნულია 27 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

✦ საერო განათლების სამინისტრო წელს მოიწვევს განსაკუთრებულ კომისიას **მოსწავლეთა ექსკურსიების** მოწყობის საქმის განსახილველად.

✦ კავკასიის **სამოსწავლებლო ინსტიტუტ**ში დანიშნულია ეგზამენები აგვისტოს 25 დან.

✦ „კავკაზ“-ის სიტყვით, ტფილისის საქონლის სადგურის დაწვის დროს დაღუპულა 14 ფუთი გიფსის მოდელებისა, რომელიც გამოგზავნილი იყო პეტერბურგიდან ტფილისის **ხელოვნების სკოლისათვის**. სკოლის დირექტორის განკარგულებით, ხელოვნებათა აკადემიას სთხოვეს ახალის მოდელების გამოგზავნა.

✦ ქუთაისის გუბერნიის მმართველი სხვა და სხვა თანამდებობის პირთა თანხლებით ყოფილა **ჭიათურაში** და დაუთვალიერებია ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი.

✦ ამიერ კავკასიის **რკინის-გზის** სადგურ ხაშურსა და ბორჯომს შუა ახალის წესით დაიწყებს მატარებლები მიმოსვლას 8 აგვისტოდან.

✦ ეს მეორე კვირა იქნება, რომ თითქმის ყოველ დღე მიხეილის ქუჩაზე, ვალენტინოვის საზაფხულო თეატრში, **მალოროსიულ დრამატიული დასი** ბ-ნ სუხოდოლსკის ხელმძღვანელობა-რეჟისორობით წარმოდგენებსა ჰმართავს; საზოგადოდ წარმოდგენების საქმე ისე კარგად არის დაყენებული, რომ ყოველ დღე მრავალი ხალხი ესწრება; მხოლოდ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ის, რომ წარმოდგენები ძალიან გვიან იწყება ხოლმე და ნაშუაღამევის ორ საათამდე ძლივს ათავებენ, რის გამოც ძნელად თუ საქმიან ხალხისათვის ეს წარმოდგენები ხელ-მისაწვდომი იქნეს.

✦ როგორც პეტერბურგელი გაზეთები იტყობინებიან, პეტერბურგის უმაღლესს **სპეციალურ სასწავლებლებში** ერთობ ბევრი თხოვნებია თურმე მისული. მარტო ტეხნოლოგიურ ინსტიტუტს მიაღია 1000-ზე მეტი თხოვნა. ებრაელებისაგან აქ თხოვნას არ იღებენ. ამდენივე თხოვნა მიუღია გზათა ინჟენრების ინსტიტუტსაც. სატყეო ინსტიტუტშიაც-კი, სადაც წინათ ცოტა იყო მთხოვნელები, წელს 500-ზე მეტი თხოვნა მისულა.

✦ **ტფილისის პოლიცმეისტერმა** მოახსენა გუბერნატორს, რომ გამოფენის მოედანზე არ არის მიღებული საჭირო ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ გამოფენის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. გამოფენის ყველა შენობები კი ხის მასალისაგან არის გაკეთებული და თუ ცეცხლი გაჩნდა, ყველაფერი დაიწვება, სანამ ცეცხლის მქრობელი რაზმი მოუსწრობდეს („კავკასი“).

✦ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს სულ მოკლე ხანში გადაათვალიეროს საშუალო **სასწავლებლების ბიბლიოთეკების კატალოგები**. სარწმუნო წყაროებიდან ვიცითო, ამბობს ერთი გაზეთი, რომ კატალოგებს შესამჩნევად შეავსებენ იმ წიგნებით, რომელნიც აქამომდე ნება დართული არ იყვნენ მოსწავლეების ბიბლიოთეკებშიო. ეს კი სარწმუნოა, რომ არც ერთი ქართული წიგნი არ მოჰყვება ამ კატალოგებში.

✦ ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქ იალტაში განიზრახეს ალექსანდრეს სახელობაზე გიმნაზიის დაარსება; გიმნაზიის შენობისათვის მთავრობას გადაუდვია 200,000 მან.

ძლებში ისხდნენ კრიუგერი და მისი წარმომადგენელი. იმათ წინ ირგვლივ გამწკრივებულიყვნენ ოლდაორი ფოლსკრაადის წევრი და კედლების რიგობაზედაც სკამებზე ისხდა ხალხი. სჩანდა, რომ რაღაცა დიად საკითხს იხილავდა პარლამენტი. კრიუგერი შავი ღრუბელივით დაღვრემილიყო; ერთი წევრი წამომდგარიყო და გაცხარებული ჰკითხულობდა, თუ რა იქმნა იმოტელა თანხა, რომელიც დინამიტების მრეწველობისაგან შემოუვიდა ხაზინასაო.

პრეზიდენტი წამოდგა პასუხის საგებად და გამოაცხადა, რომ იმ ფულების ანგარიში იქნება თავის დროზედ და კანონიერად წარმოდგენილიო.

წევრმა გულმოსულად უპასუხა, რომ უმეტესი ნაწილი წევრთა მაგაზე არ არის კმაყოფილიო, რომ ყველანი გადაუდებლივ თხოულობენ ანგარიშის წარმოდგენასო. ინგლისის გაზეთები ერთხმად იმეორებენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო უწყებაში ბევრი ბოროტ-მოქმედება ხდებაო. ამისათვის ჩვენ ნება გვაქვს დაუყონებლივ მოვითხოვოთ ამ საქმის ახსნა და გამორკვევაო. კრიუგერმა არაფერი არ უპასუხა და გადასდო სხდომა. იმან სთქვა, რომ დღესვე შევაგროვებ საფინანსო კომიტეტის წევრებსა და ოც-და-ოთხი საათის განმავლობაში წარმოვადგენ ანგარიშს დაწვრილებითო.

სხდომა გათავდა და დომერსიც ქალებითურთ გამოვიდა დარბაზიდან.

— პრეზიდენტი დღეს ძალიან გაჯავრებულია; ვერ შეატყეთ, როგორი ანთებული თვალები ჰქონდა?—სთქვა დომერსმა. წავიდეთ ჩემს კაბინეთში; მგონი ეხლა პრეზიდენტთან მოლაპარაკება არ ივარგებს.

შევიდნენ თუ არა ოთახში, კარები გაიღო და შემოვიდა თვით პრეზიდენტიც.

— მე მოლაპარაკება მინდოდა შენთან ჰენდრიკ!—სთქვა კრიუგერმა „შენობით“, როგორც ჩვეულებათა აქვსთ იმ მხარეს: უფროსები უმცროსებს „შენობით“ ელაპარაკებიან;—მაგრამ, როგორც ვხედავ, შენ სტუმრები გყავს!

დომერსმა გადაუდგა სკამი.

— დაბრძანდი, ძია პავლე,—სთქვა ჰენდრიკმა;—ჩვენც ეს-ეს არის თქვენთან გვინდოდა წამოსვლა სათხოვნელად:

— რის სათხოვნელად?—ჰკითხა კრიუგერმა და მძიმედ დაეშვა სკამზე. მერე ამოიღო თავისი მოკლე ჩიბუხი, ქალებთან ბოდიში მოითხოვა და წუთის შემდეგ მთლად გაეხვია თამბაქოს კვამლში.

დომერსმა მოკლედ აუწყა პრეზიდენტს ჩარლს ტილეს საქმე. კრიუგერი გულმოდგინედ უგდებდა ყურს და ძირს იცქირებოდა; მხოლოდ ერთხელ კი გადაავლო ანნასა და დომერსს თავისი შორს გამჭვრეტი ჰროლა თვალები და ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ღრმათ ჩაეხედა მათ გულში და ამოეკითხა ყოველი საიდუმლოება. კრიუგერი ერთი შეხედვით ცნობილობს კაცს.

დომერსმა გაათავა თავისი მოთხრობა; კრიუგერი კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა. კაბინეტში გამეფდება შემაძრწუნებელი სიჩუმე. სჩანდა, პრეზიდენტი საკუთარმა ფიქრებმა გაიტაცეს. ბოლოს აიღო თავი, შეაჩერდა თავის მდივანს, თითქო რამეში უნდა გამოსცადოსო, და წარმოსთქვა:

— მე შენი გულისათვის ავასრულებ მაგ თხოვნას. შენ მიჰმართე უფროს მოსამართლეს ვან კუიპერს. იმის განკარგულებით ტილე განთავისუფლებულ იქმნება, როცა ჯეროვან გირაოს შეიტანს.

კრიუგერი წამოდგა. ანნაც შეინძრა: ადგომა უნდოდა მადლობის გადასახდელად, მაგრამ კრიუგერმა ანიშნა, რომ არ გარჯილიყო.

— მოიკითხე ჩემს მაგიერ შენი ქმარი,—მიუბრუნდა პრეზიდენტი ქ. ახტერმანისას. —ჰო, მართლა, ეხლა მომაგონდა: ერთი ქაღალდი არის შენ ქმართან, ჩემს საწერ მაგიდაზე ძევს, წამოდი გაგატანო. შენ-კი, ჰენდრიკ, მოდი ჩემთან სადილს უკან, ასე ხუთ საათზე, საქმე მაქვს.

კრიუგერი გავიდა და თან გაჰყვა ქ. ახტერმანისა. დომერსი და ანნა მარტო დარჩნენ.

— რანაირად გადაგიხადოთ მადლობა!—სთქვა ანნამ და მიუახლოვდა იმას,—უთქვენოდ მე ხომ ვერაფერს ვერ გავარიგებდი. თვითონ პრეზიდენტმაც ბრძანა, რომ ამ თხოვნას მარტო თქვენის გულისათვის ვასრულებო.

— მე ეს, ცოტა არ იყოს, მაკვირვებს,—სთქვა ჩაფიქრებულმა დომერსმა.

— მაინც, გთხოვთ მიიღოთ ჩემი უგულითადესი მადლობა!—წარმოსთქვა სიხარულისაგან თვალ-ცრემლიანმა ანნამ.

— ოჰ, ანნავ!—სთქვა აღელვებით დომერსმა და გაუშვირა ორივე ხელი,—ნეტავ რას არ ვიქმოდი თქვენი გულისათვის! თვით ჩემს სიცოცხლესაც არ დავზოგავდი და დიდის სიხარულით შევსწირავდი თქვენს საკეთილ-დღეოდ.

ანნამ ხმა-ამოუღებლივ გაუწოდა ხელები. დომერსმა მიიზიდა იგი ახლოს და იმის მკერდზე ანნამ პირველად ამოისუნთქა მსუბუქად და ნეტარების ცრემლები გადმოუშვა. ანნას მხოლოდ-ღა ესმოდა დომერსის გულის ძგერა, რომელიც თითქოს თანაგრძნობის პასუხს აძლევდა იმის გულს.

დომერსმა დახარა თავი და შეეხო იმის მთრთოლვარე ტუჩებს.

. . . .

შეყვარებულნი განშორდნენ ერთმანეთს გაბედნიერებულნი. ანნა უნდა დარჩენილიყო კორწინებამდის ქ. ახტერმანისას იოჰანესბურგში.

საბრალოებმა ის კი არ იცოდნენ, როგორი შავი დღე მოელოდა იმათ.

(შემდეგი იქნება)

და შენობა უკვე დაუმთავრებიათ. გიმნაზიის ამშენებელ კომისიას გარდაუწყვეტია გიმნაზიასთანვე დაარსებულ იქმნეს საზოგადოდ მოსწავლეთა საცხოვრებელი პანსიონი; რადგანაც კომისიას პანსიონის სადგომის აშენებისათვის საჭიროთანხა არა ჰქონია და ხელის მოწერა გაუმართავს საჭირო თანხის შესადგენად; ამ მიზნისათვის კომისიას სახელმწიფო ხაზინიდან მიუღია 175,000 მან. და დამატებით პანსიონის გასამართავად 15,000 მ. ქ. იალტას თავის მხრით გადაუდვია 3,000 მან. ერობას 10,000 მან; მაგრამ რადგანაც ყველა ეს შეკრებილი ფული აღნიშნულს პანსიონის სადგომს არ ეყოფა, ამშენებელი კომისია ეხლა სთხოვს ტფილისის ქალაქის ·გამგეობასაც თვისი მხრით შემწეობა აღმოუჩინოს კომისიას ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულების დასრულებაში; წერილში კომისია, სხვათა შორის, აცხადებს, რომ იგი მით უფრო ითხოვს რუსეთის ყველა ქალაქებისაგან შემწეობას, რომ იალტის გიმნაზიას და მასთან პანსიონს სპეციალური დანიშნულება ექნება: იქ მიიღებიან ყველა კუთხიდან მხოლოდ ის მოსწავლენი, რომელნიც რუსტის ჯან-ღონისანი არიან და შეუძლიანთ მხოლოდ იალტის ჰავის ატანა.

◆ **ტფილისის პოლიციის მე-2 ნაწილის ბოქაულმა** მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ გაასუფთაონ ლაბორატორიის ქუჩა, რომელზედაც მოკირწყვლის შემდეგ ეხლაც ჰყრია ქვა და მიწა-ნაგავი.

◆ გუშინ, **ტფილისის ქალაქის** გამგეობამ მისწერა ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულს, რომ განკარგულება მოახდინოს, რათა ტეხნიკურ ქუჩაზე არ იყრებოდეს სხვა და სხვა ნაგავი, რადგანაც ამით ფუჭდება იქ წყლის მიმდინარეობა და შესაძლებელია მტკვრის ადიდების დროს დიდად დაზარალდეს ის კუთხე.

◆ გუშინდელი დღეიდან ყველას ნება აქვს მდ. მტკვარში ყოველგვარი თევზი **იჭიროს**.

◆ ამაღლების ქუჩაზე მცხოვრებმა დომნა ნიკიტინისამ განაცხადა პოლიციის მე-4 ნაწილში, რომ 30 ივლისს საღამოზე მას შეუვარდა ბინაზე ტფილისის მოქალაქე ივანე ოქროპირიძე და გაუპატიურება მოუნდომა, მაგრამ გადარჩა, რადგანაც ყვირილზე მეზობლები მოეშველნენ; ოქროპირიძე პოლიციამ დააპატიმრა.

პრესსა

რუსეთის პროვინციალურ გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ნოქრების უნუგეშო მდგომარეობაზე. ამ გაზეთების აზრით, ნოქრების ეკონომიური მდგომარეობა არამც თუ არ გაუმჯობედსა უკანასკნელ წლების განმავლობაში, პირ-იქით, უარესი გახდა. „ოდესკი ნოვოსტები“ ამბობენ:

„ერთ დიდ მაღაზიაში მოსამსახურეთა შენახვა ამ რამდენიმე წლის წინად უჯდებოდა პატრონს წელიწადში 15—17 ათასი მანეთი. ეხლა კი პატრონი იმავე პირობებში ამუშავებს ნოქრებს და მათ შენახვაზე კი ხარჯავს მარტო 7—8 ათას მანეთს“.

„იუჟნოე ობოზრენიე“-ს სიტყვით, ელისავეტგრადში (ხერსონის გუბერნ.) დიდი მაღაზიების პატრონებმა სინდიკატი შეადგინეს და გადასყვიტეს, არამც და არამც არ მიიღებთ სხვა მაღაზიებიდამ რომელიმე მიზეზით დათხოვნილ ნოქრებსო. „ოდესკი-ნოვ“. ასე ასურათებენ ელისავეტგრადის ნოქრების მდგომარეობას:

„საგალანტერიო და საბაზაზო მაღაზიების ნოქრები მუშაობენ დღეში 15-16 საათს. სადილს შემდეგ ერთი საათი აქვთ თავისუფალი, მხოლოდ ამითი თითქმის არავინ არ სარგებლობს, რადგან ყველანი შორს, განაპირა უბნებში დგანან... ჩაის მაღაზიაშივე სვამენ, ისიც ფეხზე მდგომელა... საბაკალეიო მაღაზიების ნოქრები უარესს მდგომარეობაში არიან. ისინი მუშაობენ დღეში 18-20 საათს. პურს საჭმის დროს სჭამენ. კვირა დღესაც მუშაობენ“..,

ასეთივეა ნოქრების მდგომარეობა მინსკში, და „სევერნი კავკაზ“-ის სიტყვით, სტავროპოლშიაც.

⁂

ერთ თავისს წერილში ბ. ჯორჯაძემ აღნიშნა ინტელიგენციის ცვალებადი ხასიათი და სთქვა, რომ ინტელიგენციას ყოველთვის იმდენად მეტი გავლენა აქვს, რამდენადაც მეტად დაახლოვებულია ის ხალხთან და რამდენადაც უკეთ ესმის ხალხის ინტერესი. ამ მოსაზრებით, ფეოდალურ წეს-წყობილებაში არსებულ ინტელიგენციას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი ფეოდალურ წეს-წყობილების დარღვევას ხელს უწყობდა. აგრეთვე „ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც —ამბობს ჯორჯაძე—იმდენად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ნაკლებ იყო იგი გამსჭვალული დემოკრატიული ინტერესებით“.

ამ მოსაზრების შესახებ „კვალში“ აირას ვკითხულობთ: „გაიგეთ რამეო? ვერაფერი. მაშ, იყო და არა იყო რა“... ახლა გაიგეთ? კიდევ ვერაფერი. მაშასადამე, აქ არაფერი არ უნდა იყოს! ჰოო, ახლა კი გავიგეთ... ამნაირია საიდუმლოებით მოცული მკითხველის შთაბეჭდილებაო“. ამისთანაა „საიდუმლოებით მოცული ამ სტრიქონების დამწერის ბ. ფარიანის გაუგებრობა, ვიტყვით ჩვენ. ამგვარი «ბოდვა» ისე გვეუცხოება, რომ ამ საგანზე ლაპარაკიც გვეთაკილება.

პროვინცია

კახეთი. კახეთს ისეთი წელიწადი ვერ დაუდგა, რომ იგი ცხოვრების უმთავრეს სახსრის მხრივ მაინც უზრუნველ ეყოფილიყო. შარშანდელ წელიწადს ყველა ემდურებოდა პურის მოსავლის გამო, მაგრამ წრევანდელთან შედარებით ის მოსავლიანად უნდა ჩაითვალოს და ესკი სულ შეუბრალებელ სტიქიონის ბრალია.

გაზაფხულის ხანგრძლივმა გვალვამ დიდად გაუჭირა საქმე ანეულს—სწორედ მაშინ დაიწყო გვალვა, როცა ჯეჯილი თავ-თავისთვის ემზადებოდა; რაკი ნამი აღარ ეღირსა, ისე დარჩა გაუზრდელი, ჩაყვითლდა და გვალვისაგან დასნეულებულმა თავ-თავი ამოიყარა. ამავე დროს გვალვისავე წყალობით იმდენი ვერ მოხნეს და დათესეს გაზაფხულის მოსავალი, რამდენიც უნდოდათ, რადგანაც ვერ მოხნეს სიმშრალისა გამო და დათესასა კიდევ ეშინოდათ, ვაი თუ გვალვა გაგრძელდეს და უქმათ ჩავყაროთ თესლის დაბნევაშაო.

შემდეგ კი ბუნებამ გვიბრალა, ამინდი შეიცვალა, ამდენი ხნის გამხმარი დედამიწა დაასველა და შემდეგაც თავ-თავის დროზე წვიმები არ მოგვაკლდა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამას ზოგჯერ მოჰყვა კახეთის დაუძინებელი მტერი—სეტყვა—და ზოგ სოფელში ისე გაათხრა ყოველივე მოსავალი, რომ ყანებიდან სათესლე პურს ვერც კი აიღებენ. ამ წვიმებმა დანარჩენ სოფლებში ცოტათ თუ ბევრად მოსავალს არგო და გლეხთ გულში იმედი გაუღვივა.

აქამდის ყველას ეგონა, რომ გაზაფხულის ავდრები გამოაბრუნებდა ანეულს ისე, რომ მისი მოსავალი საშუალო მაინც იქნებოდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, როცა ყანები დაიმკო და ლეწვას შეუდგნენ მცხოვრებნი. ეხლა კი სრულებით გამოირკვა, რომ პურის მოსავალი წელს ნაკლებია და თუ მარტო ამაზე დაჰნაბრდნენ მცხოვრებნი, 6—7 თვეზედაც ვერ შეჰყვებათ.

ამ მდგომარეობაში მეტი გლეხ-კაცის სრული ყურადღება მიქცეულია სიმინდზე, საიდანაც მოელის ხსნას და გამოკვებას. სიმინდის მოსავალი წელს კარგია, მაისის ხშირი და შემდეგ დრო გამოშვებით წვიმების წყალობით; ნამეტნავად საქებური სიმინდია ალაზნის ნაპირებზე.

პურზე არა სანუგეშო მდგომარეობაშია კახეთის ვენახები. ისეთი ვენახი არ დარჩენილა, რაც სეტყვას გადარჩა, რომელსაც გლეხ-კაცის დამღუპავი ნაცარი არა სწვეოდეს. ზოგმა—ვისაც შეეძლო, გამოაჩნდებოდა თუ არა ნაცარი მაშინვე შესწამლიდა, ე. ი. შეაყრიდა გოგირდს. ამათ რამდენჯერმე უწამლეს, მაგრამ მაინც სრულებით ვერ განკურნეს და ნაცარმა თავისი დაღი დაასვა. ზოგმა-კი მომეტებულ ნაწილად ვერ შეიძლო მასთან ბრძოლა და შეჰყურებდა ისე გულ-ხელ-დაკრეფილი. ამისათვის ამ უკანასკნელთა ვენახები ისეა ნაცრით გაფუჭებული, რომ ბევრნი არამც-თუ ღვინოს გაჰყიდიან, არამედ იმდენი ვერც-კი მოუყვათ, რომ სასმელად ეყოთ ორი თვე მაინც.

დიმიტრაშვილი.

დუშეთი. კვირა ისე არ გავა, რომ ადამიანის ყურმა ახალ-ახალი ამბავი არ გაიგოს და ბევრიც რომ არ გიხდოდეს გამოჭვეუნება, კალამი მაინც თავისას არ დაიშლის, გაკვრა-გამოკვრას გვეხვეწება. ახალი ამბავი, როგორც მოგეხსენებათ, ბევრნაირია: ავიცა და კარგიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის, «ცოდვა-მადლის სასწორზე» რომ ასწონოთ, ის პირველი სიავე სძლევს სიკეთეს. ხშირია ხოლმე—ავკაცობა მშრალი გამოდის და დაბალი ღობე კი ითელება. იმას ვინ ჩივის, რომ სასტიკი სტიქიონი ერთის შხამ ნაწვეთ კალმის მოსმით გლეხკაცს თავბედს აწყევლინებს ხოლმე, რაიც დაჰმართა წელს დუშეთის ახლო-მახლო მიდამოების და მთლად ბაზალეთის მხარეს გულქვა სეტყვამ, მტვერი აადინა,—არც ადამიანი ასვენებს ადამიანს; სწორედ რომ ვსთქვა, რასაც სტიქიონი აკლებს, იმას კაცივე უსრულებს. აი, სხვათა შორის, პაწია ნიმუშიც: ამას წინად ს. კობიანთკარში ერთი ექიმბაშ დედაკაცის უცნაურმა წამლობამ იმსხვერპლა ერთი წვრილშვილი დედაკაცი, მუხლებით სნეული. ექიმბაშს ვანების მაგივრად თორნეზე თივის მოდენა ურჩევია: ოშხივარიან თორნეზე ლასტი გადაეგო, ზედ ანწლი დაეყარა და ისე დაესვა ზედ საბანში მაგრად წაბუდნული და თვითონ «ექიმს» ზელა დაეწყო. თურმე, როცა სული შეუგუბდა და შფოთვა დაიწყო საბრალო მსხვერპლმა ექიმბაშისამ, თვითონ ექიმბაში ზედ მაგრა იჯდა და განცვიფრებულ ხალხს არწმუნებდა, რომ «ეშმაკები ალაპარაკებს, ისინი აწვალებენო... მალე მორჩებაო»... დიახ, მალე «მორჩა». საბანმა ბოლო აუშვა და შეფუფქული, შეტრუსული გვამი-ღა გამოიღეს ლასტიდან.

შეიძლება სხვაგან უარესი ხდება, მაგრამ ყველა სოფელს რომ თავის ფერშალი ჰყავდეს, ვგონებ, ველურ საქციელს ფრთა შეკვეცოდა, თორემ ერთ ექიმს ისეთ დიდ მაზრაში, როგორც დუშეთის მაზრაა, ისეთი მნიშვნელობა და ძალა აქვს, როგორც ერთ-ორ წვეთს ზღვაში.

უექიმობასთან ერთად გლეხ-კაცობას უჭირვებს საქმეს უაფთიაქობა. მთელ დუშეთის მაზრაში, სადაც შვიდასამდე სოფელია, არც ერთი აფთიაქი არა რის, ერთი აფთიაქია ქ. დუშეთში და ისიც თუ ცოტა ადრე მივიდა, ავადმყოფი ანუ ცოტა გვიან, უნდა კარებ წინ აიტუზოს და ელოდოს წამალს, ვითარც ცის მანანას. ჩემ თვალებს ბევრჯელ უნახავს ურმით მოყვანილი ავადმყოფი და ლოდინში ცის ქვეშ თითქმის გაუთენებია. გთქვათ ზაფხულის მილი ტკბილია და ლოგინის დათმობა ენანებათ, ზამთარში სადღა ვეძებოთ მიზეზი? ნუ თუ «მაკაოს» და «რამსის» ბრალია?!

როგორც ბევრთ მოეხსენებათ, ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ქართველ და სომხებს დავა აქვთ წმ. გიორგის ნიშზე თავის მიდამოებით და თუ ს. სიდებაანთ-კარის საქონელმა გაიარა, ანუ ტყეს გაეხახუნა, ჯარიმასაც ართმევენ და შეურაცხყოფასაც აყენებენ. როგორც უწინ ნიში, აგრეთვე ტყე და სახნავი მიწა ბოდავის წმ. გიორგის საყდარს ეკუთვნოდა და გლეხ-კაცობაც სარგებლობდა.

სოფ. ა... გლეხ-კაცობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგეს «ჩვენი განათლებული ბატონი ჩვენ შორის სახლდებაო», მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ბატონი «განათლებული» გამოდგა: გლეხ-კაცობას თუ უწინ შეეძლო ტყიდან ფიჩხის გამოტანა, მან აუკრძალა. თუ კრუხ-წიწილას კალოზე მოასწრო, ვარიას მზეს დაუბნელებს. თუ გამუშავა და ფული სთხოვე—«ზავთრის» არ გამოგიღევს.

ერთის სიტყვით, ეს მესამოცე წლების ბატონ-ყმობის ფეოდალი გულკეთილიცაა: ხშირათ თუ არა, როცა გუნება მოუვლის, ღხინობს კიდეც თავის ჭკუის ამქარში და სწორედ მაშინ რომ ნახოთ ეს ღხინიკო, გაჟა-ფშაველას «ახუნდის» მოგაგონებთ.

მახლას.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 აგვისტო

პეტერბურგი. «პრავიტელსტვ. ვესტ.»-ში დაბეჭდილია: „ზოგიერთი გაზეთები ავრცელებენ ხმას, ვითომც წელს სწავლა დაიწყებოდეს 1-ლ სექტემბერს საშუალო სასწავლებლებში ამიტომ სამინისტრო საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ წელს მას განზრახვა არ აქვს შესცვალოს ამ მხრივ არსებული წესები“.

პენზა. ეს მეექვსედ იწვის პენზა. უკვე გადაიწვა „საექიმო“ კვარტალი, დრაგუნი და ყაზანის ნაწილი; იწვის საუკეთესო ვაჭრების და სავაჭრო დაწესებულებანი შჩეპნაიასა და ხლებნაია მოედნებზე. ცეცხლის მქრობელ რაზმს არა შეუძლია რა ცეცხლის სიდიდისა, ქარის სიძლიერისა და წყალის სიძვირის გამო. ხალხი მეტად შეშინებულია. ზარალი მეტად დიდია.

პეკინი. ზავის ჩამოგდების ოქმი გაეგზავნა ჩინეთის რწმუნებულებს; მოელიან, რომ ხუთშაბათს იგი ხელმოწერილი იქმნება.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили (10—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Августа 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.